შაბათი, 1918 წ. მკათათვის 6 № 131 — შაბათი 1918 წ. მკათათვის 6 № 131

წელიწადი მეოთხე — ფასი თბილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 50 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

ხელნაწერთა მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილის ბოლოში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უსახელოდ გამოგზავნილი მასალა უყურადღებოდ რჩება. დაუბეჭდავი ხელნაწერთა მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

**კონტორა**

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და წლიურად—18 მ. თვეში (მთელ ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 40 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტის პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხანგრძლივ განცხადება თითოეულ ზომით: 20×2=15 მანეთი, 30×2=20 მანეთი. მიცვალებულთა გამოცხადება ქალაქში 1 მან. ქალაქგარეთ 1 მ. და 50 კ. ფულები და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული გიმნაზია. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

## გაზეთ „საქართველოს" კანტორა

მოაგონებს პატივცემულ ხელის მომწერთ, რომელთაც ხვედრი ფული (მეორე ნაწილი) არ შემოუტანიათ, 10 ივლისამდე წარმოადგინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობათ.

## ფინანსთა სამინისტრო ამით აცხადებს

რომ მისგან დანიშნულია

## კონკურსი ას-მანეთიანი ბილეთის

ნახატის შესამუშავებლად. უკანასკნელი ვადა ნახატის წარმოდგენისა 21 ივლისია, ნაშუადღევის 2 საათამდე. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება სამინისტროს კანცელარიაში 1—2 საათამდე ყოველ დღე.

## საქართველოს კონტორა

აცხადებს, რომ 8 ივლისიდან გაზეთი „საქართველო" ეღირება თბილისში და პროვინციაში—40 კაპ., ხოლო რკინის გზის სადგურებზე 50 კ.

Georgische Klubr

Sonnabend den 7 Iuli um 8 Uhr Abends Vortrag von Artur Leist. Ueber georgishe Poesie

Einritt 2 Rubel

## ქართული კლუბი

შაბათს 7 ივლისს საღამოს 8 საათზე

## არტურ ლეისტის ლექცია (გერმანულად)

## ქართული პოეზიის შესახებ

შესასვლელი 2 მანეთი

სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭო და სასამართლო გლოვით აუწყებს ქართველ ერს, რომ თიბათვის 26—27 ღამე ანტონის მარტყოფელის მონასტერში ღვთის მიიცვალა უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსი

## კირიონ მეორე.

მისის უწმინდესობის ნეშთის გამოსვენება ანჩისხატის ტაძრიდან კვირას, მკათათვის 7-ს, სწორედ დილის 9 ნახევარ საათზედ. წირვა ანდერძი და დაკრძალვა იმავე დღეს სიონის ტაძარში 2—978—1

გულ დამწვარნი დედა პელაგია, მამა მიხეილი, მეუღლე სოფიო შვილებით: შოთა და კონსტანტინე, ძმები: პეტრე და ვასილი, დები: მარიამ ზაალიშვილები ნადეჟდა და კონსტანტინე ბარათაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ

## პავლე მიხეილის ძე ზაალიშვილის

სულის მოსახსენებლად 23 თიბათვეს (ძველის სტ.) დილის 10 საათზე კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი. (1—1685—2)

კვირას, 7 ივლისს, დილის 9 ნახ. საათზედ კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

## ნიკოლოზ ივანეს ძე თაქთაქიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებულის მშობლები ელისაბედ და ივანე თაქთაქიშვილები, მეუღლე ნინო თავისი შვილებით, ძმები იასე და მიხეილი ცოლშვილით, დები კატო და ნინო თაქთაქიშვილები და სოფიო ფავლენიშვილისა ქმარ-შვილით.

## ანარქია და ეროვნული დემოკრატიის მოვალეობა

ჩვენმა სამშობლომ უკანასკნელს წელს მრავალი პოლიტიკური სირთულე გამოიარა, მაგრამ განსაკუთრებულს სახიფათო მდგომარეობას განიცდის ის ამ ჟამად. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს საერთო ანარქიისა და ამბოხების ალი მოედო. მთავრობა ებრძვის სახელმწიფოს ამ დამღუპველ მოვლენას, მაგრამ მან, საუბედუროდ, ჯერ ჯერობით ვერ შესძლო ანარქიის ჩაქრობა.

ანარქია და საერთო არევ-დარევა შლის და არღვევს საქართველოს ეროვნულ სხეულს. ამიტომ მას ეტრფის და ხელს უწყობს ყველა ის, ვისაც საქართველოს ახლად აღდგენილ სახელმწიფოს დაღუპვა სწყურიან. რუსი ბიუროკრატები, სამხედრო პირები და საზოგადოდ ყველა ის ელემენტები, რომელნიც ჩვენი დამონებით საზრდოობდნენ და ჩვენს დაჩაგვრაზე თავის და დიდი რუსეთის ძლიერებას აშენებდნენ, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ატეხილ ამბოხებებში. ჩვენი მეზობლების ის წრეები, რომელნიც მუდამ მტრულად უყურებენ საქართველოს განთავისუფლების საქმეს მიუხედავად იმისა, რომ მათ საქართველოსაგან კარგის მეტი არა უნახავთ, ასევე მახლობელ მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ეროვნული ცხოვრების დაშლის საქმეში. საქართველოში მცხოვრებნი, საქართველოში შეხიზნულნი ეს ელემენტები და საქართველოს გარეშე მტრები შეთანხმებულად ებრძვიან ჩვენს თავისუფლებას. ამ ჩვენთვის დამღუპველი საქმის ბრმა იარაღად გახდა საქართველოს მრავალი მოქალაქე, რომელთაც არ უწყიან რას შვრებიან. თავის ხელით უპირებენ ისინი თავის სამშობლოს დასამარებას! საშინელი პოლიტიკური მიმდინარეობის, ბოლშევიზმის დროშით, რომელმაც დაღუპა დიდი რუსეთი, ისინი საქართველოს ებრძვიან. ამ დროშის გარშემო იკრიბება დღეს საქართველოს ყველა შინაური და გარეშე მტრები.

საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული ზომები უნდა მიიღოს საქართველოს დასაღუპავად დარაზმულ მტრების წინააღმდეგ. ჩვენდა საუბედუროდ აქამომდე ვერ შევქმენით ისეთი მართვა-გამგეობა, რომელიც ყოველივე ამას თავიდან აგვაშორებდა. მთავრობა დღესაც ვერ ჰბედავს ნამდვილ სახელმწიფოებრივ გზაზე დადგომას. მაგრამ ის ამ ჟამად მაინც ებრძვის საქართველოს დამღუპველ მოვლენებს და ყველა მოქალაქე ვალდებულია მხარი დაუჭიროს მას საშინელ ანარქიასთან ბრძოლაში.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა იმას ვინც თავიდანვე სწორს სახელმწიფოებრივ მიმართულებას იცავდენ. ეს არის ეროვნული დემოკრატია. ის მუდამ მხარს უჭერდა მთავრობას, როდესაც ის ერისათვის სასარგებლო ნაბიჯს გადასდგამდა. მაგრამ ის მუდამ მიუთითებდა აგრეთვე მთავრობას მის შეცდომებზე და უწუნებდა მას გაუბედავ მოქმედებას მაშინ, როდესაც საქართველოს თავდაცვისთვის უფრო მტკიცე და გარკვეული პოლიტიკა იყო საჭირო.

ასევე დღესაც. ყველა შეგნებული ჩვენი თანამოაზრე მხურვალე მონაწილეობას უნდა ღებულობდეს საქართველოს წინააღმდეგ ატეხილს ბრძოლაში და იცავდეს საქართველოს თავისუფლებას.

ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი სარგებლობენ იმ გარემოებით, რომ ჩვენ მთავრობის მოღვაწეობას ვიწუნებთ, როდესაც ეს მოღვაწეობა არ არის საკმაოდ მტკიცე და ძლიერი ნამდვილი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დასამყარებლად. ისინი ხმებს ავრცელებენ, რომ ამა თუ იმ მაზრაში მომხდარ ამბოხებას ესა თუ ის ჩვენი პარტიის წევრი მეთაურობს და სხ. მაგრამ რომ ეს ცარიელი დემაგოგიაა, ყველამ უწყის. მათ კარგად უწყიან და ყველამ კარგად იცის, რომ მეამბოხე და აჯანყების მომხდენი შეიძლება იყოს მენშევიკი, ბოლშევიკი, სოციალისტ რევოლიუციონერი, ფედერალისტი და სხვა, მაგრამ არ შეიძლება იყოს ეროვნული დემოკრატი. ეროვნული დემოკრატია აჯანყებებით არასოდეს არ სცდილობს მრუდე პოლიტიკის გამოსწორებას. ეს მას მუდამ მავნე და სახიფათო საშუალებად მიაჩნდა და მიაჩნია ეხლაც პოლიტიკურს ბრძოლაში.

განსაკუთრებულად სახიფათოა ყოველგვარი ამბოხება პატარა ქვეყნისათვის, რომელმაც ამ უკანასკნელ წლებში მრავალი გასაჭირი და სოციალური ავადმყოფობა გადაიტანა. აჯანყებებსა და ანარქიას შეუძლიან დაღუპოს ჯერ სუსტი და უძლური სახელმწიფო და ვინც ამას ემსახურება, ის მტერია თავის სამშობლოისა.

მთავრობის შეცდომები აზიანებს ჩვენს ეროვნულს საქმეს; მაგრამ ამ შემცდარი პოლიტიკის გამოსწორებას ისეთი ოპერაციით არ უნდა ვცდილობდეთ, რომელსაც შესაძლოა მთავრობასთან ერთად მთელი სახელმწიფოს დაღუპვა მოჰყვეს.

ანარქიის ალი მოედო მთელს საქართველოს, მასში გახვევა ხალხის ფართო მასსა. ამ არეულობის მონაწილეთა დიდი უმრავლესობა, რასაკვირველია ის ელემენტები იქნება, ვინც სოციალისტურ პარტიებს უმაგრებდა ზურგს—ბოლშევიკებსა თუ მენშევიკებს. ასში ერთი იქნებ ამ მასსაში გამოერიოს ისეთებიც, რომელნიც ოდესღაც ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას უჭერდენ მხარს. ასეთი გზა აბნეული პირების მოქმედების გამო პარტია პასუხისმგებლობას, რასაკვირველია, ვერ იკისრებს. ყოველი მეამბოხე მტერია საქართველოსი და საქართველოს მტრებს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში არასოდეს არ ექნება ადგილი.

## რატომ მივეცით ხმა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ

გვეკითხებიან: თქვენ, ეროვნულ-დემოკრატებმა, რომელნიც სახელმწიფოებრივ პარტიად სთვლით თავს, რისთვის მიეცით ხმა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, როდესაც ამგვარი კანონის აუცილებლობას ამ ცეცხლსავით მოდებული ანარქიის დროს თქვენვე აღიარებდითო!

დიახ! სამშობლოს მოღალატენი და მეამბოხენი, რომელნიც რესპუბლიკას განსაცდელს უმზადებენ, სიკვდილით უნდა დაისაჯონ! ამას წინეთაც ვამბობდით და დღესაც ვამბობთ.

იმავე დროს ჩვენ, როგორც სახელმწიფოებრივმა პარტიამ, ვიცით კანონიერებისა და რევოლიუციის საზღვარი.

როდესაც კანონს ვაწესებთ, შიგ რევოლიუციური ელემენტი არ შეგვაქვს. და ეს მიტომ არის საჭირო, რომ ყველამ იცოდეს: სად თავდება რევოლიუცია, ე. ი. ძველი სოციალური შენობის ნგრევა, და სად იწყება ახალი სახელმწიფოებრივი შენობის აშენება კანონიერების საფუძველზე.

დიახ! კანონში ანარქიის ელემენტს არ შევიტანთ!

ან რევოლიუციური მეთოდი ან კანონიერება! შუაში არაფერი უნდა იყოს-რა!

როდესაც პარტია რევოლიუციას აწარმოებს, მისი თვითეული ნაბიჯი კანონით არ განისაზღვრება და მას ანგარიშს მხოლოდ მისი სინიდისი და ისტორია მოჰკითხავს.

მაგრამ როდესაც საკანონმდებლო დაწესებულება რევოლიუციას კანონით საზღვარს უდებს და ახალ სახელმწიფოს კანონიერების საფუძველზე აშენებს, კანონი კანონისავე უარყოფად არ უნდა გადაიქცეს! და, თუ ამას იქმს, ეს უკანონობისავე დადასტურება იქნება.

ხელჩართულ ბრძოლაში კანონიერების დაცვა შეუძლებელია. სახელმწიფოს, შეიძლება, მოღალატე სოფლების აყრა და გადასახლებაც კი დასჭირდეს. მაგრამ ეს—რევოლიუციური მეთოდია და კანონიერების ფარგალსა სცილდება.

საპარლამენტო მეთოდი კი სულ სხვაგვარია. პარლამენტს შეუძლია აპატიოს რევოლიუციის მწარმოებელს მის მიერ ჩადენილი სისასტიკე, მაგრამ არ შეუძლია აღიაროს კანონად ის, რაც კანონის უარყოფაა.

დიაღ; კანონი—მშვიდობიანის, წესიერი სამოქალაქო ცხოვრების წესის განსაზღვრაა. და სწორედ ამ თვალთახედვით ხელმძღვანელობდით, როდესაც მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის წინააღმდეგ ხმა მივეცით. კანონის ძირითადი თვისება ის არის, რომ მას უკუქცევითი მოქმედების ძალა არ აქვს: კანონი უნდა შედიოდეს ძალაში მხოლოდ იმ დღიდან, როდესაც გამოქვეყნებულია, და არ უნდა ვრცელდებოდეს იმ დროზე, როდესაც გამოქვეყნებული არ იყო.

ეს ის პრინციპია, რომლის დარღვევაც კანონს მის დანიშნულებას უკარგავს. და სწორედ ეს დიდი ნაკლი ჰქონდა ხსენებულ კანონპროექტს, აწ უკვე კანონად ქცეულს.

კანონი ჯერ გამოქვეყნებული არ არის, ხალხს მისი შინაარსი არ შეუტყვია, მისი მოქმედება კი წინა დროზე ვრცელდება, ე. ი. 26 მაისიდან იწყება.

ამ გვარად დამნაშავემ უნდა აგოს პასუხი იმ კანონის წინაშე, რომელიც არ მოქმედობდა მაშინ, როდესაც მან დანაშაული ჩაიდინა!

მაგრამ ახალი კანონის დანიშნულება ის კი არის, ზოგიერთ დამნაშავეზე

შური იძიოს! ზედმეტი სისხლი ვისთვის არის საჭირო?!

პირიქით, სიკვდილით დასჯის კანონს უმთავრესად სათადარიგო, გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს: ბოროტმოქმედების განმზრახველს თავს შეაკავებინებს.

იტყვიან, რამდენიმე დამნაშევის სიკვდილით დასჯას კიდევ მეტი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა ექნება.

მაგრამ მაგიერად კანონიერების უარყოფას გამხრწნელი მნიშვნელობა ექნება! სახელმწიფოს აშენება კი, როგორც ვთქვით, მხოლოდ კანონიერების საფუძველზე შეიძლება.

აი, რატომ მივეცით ხმა ხსენებული კანონის წინააღმდეგ.

დასასრულ უნდა ვსთქვა, რომ, თუ კი ამ კანონს წინა დროის დამნაშავეთა წინააღმდეგ არ იხმარებენ, ნაციონალ-დემოკრატია მის წინააღმდეგ არას იტყვის.

ვასილ წერეთელი.

## მიწის რეფორმის დასრულება

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ერთობა“ ფრიად საყურადღებო მეთაურ წერილს უძღვნის ამ საკითხს. მოგვყავს სავსებით:

„ამიერ-კავკასიის სეიმმა, რომლის კანონმდებლობა დროებით საქართველოს რესპუბლიკამაც მიიღო სახელმძღვანელოთ, მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადადგა მიწის საკითხის გადასაჭრელად. 7 მარტის კანონით, მსხვილ მემამულეებს მიწები ერთმევათ განსაზღვრულ ნორმას ზევით და ამ გზით ჩამორთმეულ მიწებისაგან დგება ერთგვარი სადგილ-მამულო ფონდი.

ეს შესანიშნავი კანონი საბოლოოდ სპობს ბატონ-ყმობის ნაშთებს სოფლად და ნიადაგს აცლის წოდებრივ უთანასწორობას. ამიერიდან კიდეც რომ არ არსებობდეს კომისარიატის დეკრეტი წოდებების გაუქმების შესახებ, თავადებს მაინც ესპობათ ძველებურად პარპაშის უფლება და მხოლოდ ცარიელი „ბრწყინვალება“ რჩებათ ძველებური ბატონობის მოსაგონებლად.

მაგრამ მიწის საკითხის საქმე ამით საბოლოოდ მაინც არ არის გათავებული. 7 მარტის კანონის და მიწადმოქმედების მინისტრის ინსტრუქციების მიხედვით ჩამორთმეული მიწები გადადის რესპუბლიკის განკარგულებაში, მაგრამ ჯერ-ჯერობით, რჩება ისევ სოფლელების ხელში და ეს უკანასკნელნი ხელწერილს აძლევენ სადგილ-მამულო კომიტეტებს, რომ იჯარას გადაიხდიან. ასეთი დამოკიდებულება გრძელდება ერთის წლით.

ამნაირად, მიწათ-მფლობელობის ფორმა, ესე იგი ის, თუ ვის და რა პირობებით უნდა გადაეცეს ჩამორთმეული მიწა, გადაუჭრელი რჩება.

მისი გადაჭრა კი აუცილებელია.

როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი?

ჩვენს, სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში მიღებულია ეგრედ წოდებული მიწის მუნიციპალიზაცია: ყველა მიწები, გარდა ისეთისა, რომელსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, გადადის ადგილობრივ თვითმმართველობის ხელში, თვითმმართველობა კი ამ მიწებს დაურიგებს მსურველთ დასამუშავებლად განსაზღვრულ საიჯარო ფასში. ეს საიჯარო გადასახადი კი შედის თვითმმართველობის სალაროში და მოხმარდება საერთო სასოფლო საქმეს.

მაგრამ ჩვენმა პარტიამ, კარგად იცოდა, როცა ის პროგრამას ადგენდა, რომ შესაძლოა მუნიციპალიზაციას განხორციელებას მრავალი გარდაუვალი დაბრკოლება გადაეღობოს წინ. (ხაზი ჩვენია) ამიტომ მან დაადგინა: უკეთუ მუნიციპალიზაციის განხორციელება მოუხერხებელი იქნება, მხარი დაუჭიროს მიწების საკუთრებათ გადაცემას.

ასეთია ჩვენი პარტიის დადგენილება.

და მიწის საკითხი სწორედ ასე უნდა დაისვას გადასაჭრელად: იჯარით გაცემა, თუ საკუთრებათ გადაცემა.

რაც შეეხება ფასს, გლეხობამ კარგად იცის ჩვენი აზრი ამის შესახებ: ჩვენ დავადგინეთ, მიწა უფასოდ ჩამოერთვას მებატონეს, მაგრამ ჩვენ არ გვითქვამს, რომ ის უფასოდ დაურიგდეს გლეხებს. არც შემთხვევა ყოფილა სადმე, რომ ამ მხრით უკმაყოფილება გამოეთქვას ვისმეს. გლეხობა თანახმაა საიჯარო გადასახადი იხადოს, რადგან იცის, რომ ეს გადასახადი ისევ მას მოხმარდება: მილიციის და სკოლების შესანახად, გზების და სარწყავ არხების გასაყვანათ და სხვ.

მაშასადამე, ამ მხრით სადაო არაფერი გვაქვს. გადასაჭრელია მხოლოდ ის: რა ხეირობია ხოფლელისათვის— უდავოდ წელიწადს იხადოს იჯარა, თუ ერთხელ და სამუდამოთ საკუთრებათ შეიძინოს მიწა და მისი პატრონი გახდეს.

ამ საკითხის რიგიანად გადაწყვეტაზე ჰკიდია ჩვენი ქვეყნის აწმყო და მომავალი, რადგან ხალხის დიდი უმრავლესობა მიწის მუშაობით ირჩენს თავს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთავრობამ ჩქარა უნდა შეიმუშაოს სათანადო კანონპროექტი და ეროვნულ საბჭოს წარუდგინოს დასამტკიცებლად, სოფლის ორგანიზაციებმა კი დახმარება უნდა აღმოუჩინონ მთავრობას საკითხის სამართლიანად გადაწყვეტის საქმეში.

რედაქცია თავის მხრით ეცდება ცალკე წერილები უძღვნას ამ საკითხს და სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლებს საშუალება მისცეს თავისუფლათ გამოსთქვას თავისი აზრი.“

მეორე წერილით „ერთობა“ მიჰმართავს სოფლის ორგანიზაციებს და სთხოვს მათ გააცნონ პარტიას გლეხების აზრი ამ საკითხის შესახებ— იჯარით ურჩევნიათ გლეხებს მიწის მიღება, თუ სრულს საკუთრებად?

„ერთობას“ უკვირს—ამ საკითხის შესახებ თვით გლეხებისაგან ერთი დადგენილებაც, არ გვინახავს თვალით, თითქოს მიწის საკითხი მას არ კი ეხებოდესო. „ერთობამ“ უნდა უწყოდეს ამის მიზეზი. დღემდი გლეხობის სახელით სოციალ-დემოკრატი პროპაგანდისტები ლაპარაკობდენ და გლეხების სახელით ისინი ქვეყანას არწმუნებდენ, რომ გლეხებს მიწის მუნიციპალიზაცია სამჯერ ურჩევნიათ და კერძო საკუთრება ჰკიდივით ეზარებათო. გლეხები კი, როგორც ამას ეხლა „ერთობა“ აღიარებს, ჩუმად ჰყიდულობდენ მიწას მემამულეთაგან, თუმცა ეს დეკრეტებით აკრძალული იყო.

სოციალ-დემოკრატებს სცოდნიათ, რომ მუნიციპალიზაცია ჩვენში არ განხორციელდებოდა, მაგრამ მაინც მოახდინეს მრავალი ცდა. ამის შედეგები კი დღეს ყველასთვის ნათელია—საერთო ანარქია, ტერორი, აჯანყება.

ეხლა გაზეთი შესაძლებლად სცნობს მემამულეთაგან ჩამორთმეულ მიწების გლეხებზე საკუთრებად მიყიდვას. თუმცა მეტად დაგვიანებულია, მაგრამ რა გაეწყობა. სოციალ-დემოკრატებისათვის იმის შეგნებას, რაც ყველასთვის ცხადი იყო, საჭირო გახდა საშინელი არევ-დარევა და ანარქია.

ეხლა მაინც დაუყოვნებლივ უნდა შეტანილ იქმნეს ეროვნულ საბჭოში კანონპროექტი მიწის საკითხის შესახებ საქართველოში. დაჩქარებით უნდა მიეყიდოს გლეხობას ჩამორთმეული მიწები. უნდა შემუშავებული იქმნას მემამულეთაგან მიწის ჩამორთმევის წესი, რომ ამით არ დავარღვიოთ კულტურული მეურნეობა და არ შევაფერხოთ მეურნეობის განვითარება.

## ომი

### დასავლეთის ფრონტზე.

**გერმანიის ცნობა**

**ბერლინი.** 4 ივლისის სამხედრო ცნობა. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ფრონტის ზოგიერთ ნაწილებში საღამოთი სამხედრო მოქმედება გაძლიერდა. მოწინააღმდეგემ დილით ადრე დაიწყო საარტილერიო სროლა სომმის ორთავე ნაპირებზე. იქვე შენიშნული იყო ქვეითი ჯარის დიდი ბრძოლა.

**გერმანიის კრონპრინცის არმია.** მეუნის ჩრდილოეთით ძლიერი ნაწილობრივი იერიშებია. მულენ-სუ-ტუკანის აღმოსავლეთით ჩვენი თხრილების პირველ რიგში შეტანილი იერიშები უკუ ვაგდეთ. დანარჩენ ნაწილებში ჩვენი მეთოფლიანი ხლართების წყალობით მოწინააღმდეგის ცდამ ამაოდ ჩაიარა. მოწინააღმდეგის იერიშები შატიერის დასავლეთითაც უშედეგოდ დარჩა.

**გალლუცისა და გერცოგ ალბრეხტის არმია.** მოწინააღმდეგის ძლიერი შემოტევა მაასის აღმოსავლეთის ნაპირზე მოვიგერიეთ. სამხრეთ არგაუში ერთი მარჯვე ბრძოლის დროს ტყვეები წამოვიყვანეთ. ლეიტენანტ უდეტმა ჰაერში გაიმარჯვა მე-40-ჯერ, ლეიტენანტ რუმეიმ მე-29 და 30-ჯერ.

**ბერლინი.** 4 ივლისის ცნობა. ნაწილობრივი ძლიერი საარტილერიო იერიშები სომმის ორთავე ნაპირებზე მოსპობილია.

### პალესტინის ფრონტი

**ხტამბოლი.** 4 ივლისის სამხედრო ცნობა. სანაპიროების ნაწილებში ორთავეს მხრით საარტილერიო მოქმედება სწარმოებს. იერუსალიმ-ნაბილუს გზის ორთავე მხარეზე საარტილერიო მოქმედება გაძლიერდა. იორდანეს დასავლეთით ჩვენი არტილერია ძალიან მარჯვედ ესროდა მოწინააღმდეგის ერთ კარგად ცნობილ ბატარეას. დანარჩენ ფრონტზე საყურადღებო არა მომხდარა რა.

**ვენა.** 4 ივლისის სამხედრო ცნობა. სამხრეთ დასავლეთის ფრონტის ზოგიერთ ნაწილებში ძლიერი სროლაა ზარბაზნებიდან. აზიაგოსა და მონტესიზემოლეთან ინგლისელების შემოტევა უნაყოფოდ დარჩა. პიავის შესართავთან ბრძოლა გრძელდება.

## მთავრობის წრეებში

ფინანსთა სამინისტრომ შეატყობინა მთავრობას, რომ სეიმის დადგენილებით შედგენილ 10 მილიონიან ფონდიდან უკვე დახარჯულია 7,422,552 მ. 44 კ., დარჩენილი ფული კი საკმარისი არ არის მიმდინარე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ამავე დროს კი მთავრობის განკარგულებაში უნდა იყოს თავისუფალი ფონდი. ფინანსთა მინისტრს მიზან-შეწონილად მიაჩნია 10 მილიონიან ფონდის შევსება.

—

მთავრობას გადაეცა ფინანსთა მინისტრის მიერ შემუშავებული კანონპროექტი თამბაქოზე სააქციზო გადასახადის გადიდებისა.

—

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსდება საქონლის გაცვლა-გამოცვლისთვის დროებითი კომისია. კომისიაში შედიან სამინისტროების დაინტერესებულ განყოფილებათა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენლები. კომისია პირველყოვლისა შეუდგება საქართველოდან საქონლის გაზიდვის მოწყობას. გაიზიდება: ღვინო, თამბაქო და სხვა. გაზიდვის პრინციპი ასეთი იქნება: გაზიდულ საქონლის სააქციზო გადასახადი მთავრობას გადაეცემა. გაზიდულ საქონლის მაგიერად იმ ქვეყნებიდან, რომელშიაც საქონელს გაზიდვენ, სხვა საქონელი უნდა შემოიზიდოს, რასაც საქართველო საჭიროებს. აკრძალული იქნება შაქრის, ფართლეულობის და სხვა საქონლის გაზიდვა.

—

ფინანსთა და ვაჭრობამრეწველობის სამინისტროსთან არსდება საგანგებო საბჭო, რომელმაც სხვადასხვა სპეციალურ საბჭოების მაგიერობა უნდა გასწიოს. საბჭოში შედიან: ხსენებულ სამინისტროს, სამეცნიერო საზოგადოებათა, დაინტერესებულ დაწესებულებათა და თვითმმართველობათა წარმომადგენლები.

—

4 ივლისს მთავრობის სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით ანარქიასთან საბრძოლველად დაადგინეს 10 მილიონიან ფონდიდან 2 მილიონი მანეთი გადაიდოს.

—

პირველ მინისტრის მოხსენებით საქართველოს სამხედრო ძალების გაძლიერების შესახებ მთავრობამ დაადგინა: სამხედრო მინისტრმა დაუყოვნებლივ წარმოადგინოს ჯარის ორგანიზაციის პროექტი.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს მოეთხოვოს [illegible] და გვარდიის მდგომარეობის შესახებ მოხსენების წარმოდგენა.

—

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით ტელეფონის გასაყვანად გადადებულ ფულიდან სამხედრო მინისტრის განკარგულებაში გადადის 100 ათასი მანეთი. ამასთანავე შინაგან საქმ. მინისტრს დაევალა ზომები მიიღოს ტელეფონის გასაყვანად თბილისსა, სიღნაღსა, თელავსა და თიანეთის შორის.

—

ფინანსთა სამინისტროსთან მინისტრის პირდაპირის ხელმძღვანელობით შესდგა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სატამოჟნო გადასახადები და სხვა გადასახადების მეზობელ სახელმწიფოებთან. კომისიას განზრახული აქვს რუსეთთან საქონლის გაცვლა-გამოცვლა უდრესად გააძლიეროს, საქონლის გაზიდვის და გამოზიდვის დაწესებულია მცირე გადასახადი.

—

ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა სამრეწველო საქონელზე გადადებულ გადასახადის პროექტი, რომელიც მთავრობამ დაამტკიცა.

—

ცეხის ზედამხედველების შესანახად გადაიდო 125300 მან.

—

ეროვნულ საბჭოს წარმომადგენით დაადგინეს სახალხო მთელი ქონებით და სხვა შენობებით მიწათმოქმედების სამინისტროს გამგებლობაში გადავიდეს.

—

იუსტიციის მინისტრის მოხსენებით სამოსამართლო დაწესებულებათა შესახებ ახალ კანონების გამოცემამდე დაადგინეს სისხლის სამართლის საქმეები, რომელიც სიკვდილით დასჯის კანონშია აღნუსხული, უნდა გაარჩიოს სამხედრო-საველე სასამართლომ და რევოლუციონურმა ტრიბუნალმა.

## ქრონიკა

### თბილისი.

◆ **სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ II დამკრძალავ კომიტეტისაგან.** მისის უწმინდესობის ნეშთი გამოსვენებულ იქნება ანჩისხატის ტაძრიდან კვირას მკათათვის 7 დილის სწორედ 9½ საათზე. სამგლოვიარო პროცესია გაემართება ანჩისხატის, მეხრანის, პუშკინის ქუჩებით და შუაბაზრით სიონის ტაძარში, სადაც გადახდილ იქნება წირვა და ანდერძი, რის შემდეგ მისის უწმინდესობის კუბო სამჯერ შემოტარებულ იქნება ტაძრის გარშემო და დაკრძალული სიონის ტაძარში. ერის კაცნი სიტყვებს წარმოსთქვამენ სიონის გალავანში, ხოლო სამღვდელო პირნი თვით სიონის ტაძარში. სიტყვის წარმოთქმის მსურველთ წინდაწინვე უნდა განუცხადონ თვისი სურვილი დამკრძალავ კომიტეტს. ყველას, ვისაც რაიმე მონაწილეობა სურს მიიღოს სამგლოვიარო პროცესიაში, აგრეთვე უნდა აცნობონ თავიანთი სურვილი დამკრძალავ კომიტეტს.

სიონში შესასვლელი განსაკუთრებული ბილეთები არ იქნება. წირვაზე და ანდერძზე დასწრება შეუძლიან ყველა მსურველს, რამდენსაც სიონი დაიტევს. დატოვებულ იქნება მხოლოდ განსაკუთრებული ადგილი მთავრობის და უცხო ერთა წარმომადგენელთათვის და პრესის წარმომადგენელთათვის. დელეგატებმა და პრესის წარმომადგენლებმა წინდაწინვე შაბათის საღამოს უნდა გამოუცხადონ თავისი სურვილი დამკრძალავ კომიტეტს და მიიღონ კომიტეტისგან განსაკუთრებული ბილეთები და მხოლოდ ამ ბილეთებით შეიძლება შესვლა დელეგატთათვის დანიშნულ ადგილას.

◆ **საქართველოს კათალიკოზ პატრიარქის კირიონ მეორის** გარდაცვალების გამო ქ. შ. წ.-კ. გ. ს. მთავარმა გამგეობამ დაადგინა სრულიად საქართველოს კათალიკოსის განსვენებულ კირიონ მეორის დაკრძალვას დაესწროს მთელი შემადგენლობით.

წარმომადგენლობა მიანდო თავმჯდომარეს გ. ნ. ყაზბეგს და მის ამხანაგს დ. გ. კარიჭაშვილს.

◆ ბულგარეთის მისიის წევრნი, რომელნიც თბილისში იმყოფებიან გენ. ფონ-კრესსთან ერთად, სტამბოლში გაემგზავრნენ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. ბულგარელები თბილისში ყოფნის დროს გაეცნენ საერთო პოლიტიკურ მდგომარეობას და გერმანეთის საკონსულოსაგან მრავალი საგულისხმიერო ცნობები მიიღეს.

◆ ფოთიდან სურსათის მინისტრის ამხანაგი დეპეშით იტყობინება, რომ თანახმად გერმანიის კონსულისაგან მიღებული ცნობებით, გაზეთებ. ცნობა 450 ათასი ფუთი ფქვილის მიღება სინამდვილეს არ შეეფერება. სურსათის სამინისტროსაგან გერმანიასთან დადებულ პირობით მხოლოთ 10—12 დღის შემდეგ ველით ფქვილის მიღებას.

◆ **თბ. მუშათა და ჯარისკაც. საბჭოს** აღმასრულებელმა კომიტეტმა მოისმინა მოხსენება ქ. თბილისის დამცველ შტაბის უფროსისა და სცნო, რომ ქ. თბილისის მდგომარეობა ამ ჟამად აღარ საჭიროებს სარევოლიუციო ორგანოს დამცველ შტაბის არსებობას. დამცველ შტაბის დამის დაწესებულებათა ლიკვიდაციის გადა დაინიშნება მთავრობის განკარგულებით.

◆ **თბილისის სანიტარულ ბიუროს** ცნობით სიკვდილის შემთხვევანი იმ ავადმყოფთა, რომელნიც ავად გახდნენ განჯიდან შემოტანილ ხოლერით, არ აღემატება 25 პროც. ხოლერით ავად ხდებიან მეტ ნაწილად ლტოლვილნი.

◆ **გერმანეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა** საქართველოში ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რათა ოსმალეთა წინსვლა ბაქოსკენ შეაჩეროს და ბაქოს საკითხის ლიკვიდაცია მოახდინოს უმტკივნეულოდ და სისხლის დაუღვრელად. ამას წინედ გერმანეთის დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ ბაქოს შესახებ მოლაპარაკება გამართა ენვერ-ფაშასთან, რომელმაც გერმანეთის აზრი ბაქოს შესახებ გაიზიარა და სიტყვა მისცა რომ ოსმალთა ჯარის წინსვლას ბაქოს მიმართულებით შეაჩერებს. აზრადაა აქვთ შესაფერ რაიონებში დემარკაციონული ხაზი გაატარონ და ეს ხაზი დააწესონ ისე, რომ ბაქოსა და თბილისს შუა თავისუფალი მიმოსვლა აღდგენილ იქმნას.

საერთოდ გერმანეთის წარმომადგენლობა ღრმად არის დარწმუნებული, რომ საკითხი ბაქოს შესახებ საბოლოოდ გადაწყდება მხოლოდ სტამბოლის სამშვიდობო კონფერენციაზე.

◆ **ახალი გაზეთი.** 8 ივლისიდან გამოვა სოციალისტ-ფედერალისტ მუშათა კავშირის გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“.

◆ **სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა** დაამტკიცა გორის შტაბის შემადგენლობა და მის განკარგულებაში დასტოვა 80000 მან.

◆ **საქ. ერ.-დემ. ახალგაზრდათა ორგანიზაცია** სულ მოკლე ხანში გამოსცემს გერონტი ქიქოძის ნაწერებს. პირველ ტომში შევა პოლიტიკური წერილები, დაბეჭდილნი და დაუბეჭდავნი.

◆ **„ცისფერი ყანწების“ საღამო.** დღეს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება „ცისფერი ყანწების“ პოეზიის საღამო. პაოლო იაშვილი წაიკითხავს „ც. ყანწების“ დეკლარაციას, გრიგოლ რობაქიძე—სიტყვა პოეზიაზე, ტიციან ტაბიძე—„ცისფერი ყანწები“, ალი არსენიშვილი—„ბრინჯაოს მაკდები“—რუსეთის პოეტი სერგეი გოროდეცკი—ქართული სიმღერის რჩეულობა. საკუთარ ლექსებს და ფრანგ პოეტების თარგმანებს წაიკითხავენ პოეტები: გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე და კ. ნადირაძე. საღამო დაიწყება 7½ საათზე.

◆ **საქართველოს მოხელეთა კავშირის გარშემო.** კავშირის საბჭო აუწყებს კავშირის წევრთ და ყველას, ვისაც ეინტერესება მისი მოქმედება, რომ მისი სხდომები იმართება კვირაში ორჯელ: სამშაბათობით და პარასკეობით საღამოს 7 საათიდან, ფრეილინის ქუჩაზე № 11, სადაც წინად იმყოფებოდა ეროვნული საბჭო. აქვე ყოველ დღე, საღამოს 5 საათიდან 7-მდე, იქნება საბჭოს მორიგე წევრი, რომლისაგანაც მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყველა საჭირო ცნობები. საბჭო მოუწოდებს ყველა ქართველ მოხელეთ, განურჩევლად პოლიტიკური მიმართულებისა, უეჭველად ჩაეწერნენ კავშირის წევრებად, ვინაიდგან მხოლოდ შეერთებული ძალა შეგვაძლებინებს პირნათლად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა სამშობლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და ისტორიის წინაშე. ამასთანავე საბჭო სთხოვს ყველა ქართველს, რომელიც სამსახურში არ არის და სურვილი კი აქვს იმსახუროს, მოაწოდოს საბჭოს ცნობები თავის ვინაობის შესახებ, აგრეთვე რა სწავლა აქვს მიღებული და სამსახურის რომელ დარგისათვის უფრო არის მომზადებული.

◆ **დუშეთის ამბები.** სახალხო გვარდია დუშეთსა და წილკანს შუა დუშეთის სამხრეთ აღმოსავლეთით მოქმედებს. მეამბოხენი ამ რაიონში გარშემორტყმული არიან ორი მხრიდან. დუშეთი დაიპყრო ჯუღელის რაზმმა, ხოლო წილკანი პოლკოვნიკ კონიევის რაზმმა. სახალხო გვარდიის დანაკლისი ძალიან მცირეა. დაჭრილია მხოლოდ რამდენიმე კაცი.

◆ **ბიზალეთის გზაზედ** მეამბოხეთ დაუშვერიათ ფურგუნი სურსათით და ოთხი გვარდიელი. ამბობენ რომ ორი მოუკლავთ, ორი კი ტყვედ წაიყვანეს.

◆ 8 ივლისს მილიციამ შეიპყრო სასურსათო კომიტეტის მეორე ნაწილის თავმჯდომარე ა. ა. ვართანოვი და მეტეხის ციხეში გაგზავნა. როგორც ამბობენ მისი დაპატიმრება დაკავშირებულია უკანასკნელ პოლიტიკურ ამბებთან.

◆ **აღმასრულებელ კომიტეტში.** რადგანაც აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს წევრნი მთავრობაში იმყოფებიან აღმასრულებელ კომიტეტის ბიუროს თავმჯდომარედ ამხანაგი ს. ფერუშაკი აირჩიეს.

◆ **გუმბრიდან** ჩამოსულთა სიტყვით აზრუმში ოსმალებმა 100 რუსი ოფიცერი გაგზავნეს. გუბერნატორად დანიშნეს ვინმე რაშიდ-ბეი, რომელმაც სასტიკი ზომები მიიღო წესიერების აღსადგენად და საქონლის გასაიაფებლად. იმ ვაჭრებს, რომლებიც დუქნებს არ აღებენ საქონელს ართმევს. ქალაქში ცხოვრება არ შეჩერებულა; კარგად მუშაობენ თეატრები, სინემატოგრაფები და სხვა გასართობები.

## პარტიული ცხოვრება

**მთავარ კომიტეტის კრება პროვინციის წარმომადგენელთა მონაწილეობით.** კვირას, 7 ივლისს, 11 საათზედ მთავარი კომიტეტის ბინაზე შესდგება მთავარი კომიტეტის კრება პარტიული კომიტეტების წარმომადგენლების მონაწილეობით. ამ კრებისათვის ყველა ქალაქებისა და სამაზრო კომიტეტები გზავნიან თითო წარმომადგენელს. კრების საგანს შეადგენს საორგანიზაციო და სატაქტიკო საკითხები.

## კირიონის გარდაცვალების გამო

ოთხშაბათს, 3 ივლისს, შესდგა კრება ქუთაისის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიის სამრევლო საბჭოსი. კრებას მოკლე მგრძნობიარე სიტყვით მიმართა დეკ. ზ. გამრეკელმა, რომელმაც აღნიშნა ღვაწლი და შრომა ღვთივ განსვენებული პატრიარქ-კათალიკოზ კირიონისა, რომელიც მიუძღვის მას ქართველი ერის წინაშე. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას. შემდეგ კრებამ დაადგინა: გადადებულ იქმნას საბჭოს თანხიდგან 500 მანეთი კირიონ მეორის ნაწერების გამოსაცემად, გადახდილ იქმნას შაბათს სადამოს პანაშვიდი განსვენებულ პატრიარქის სულის მოსახსენებლად, რაიც აცნობოს ამ ეკლესიის მრევლს და კვირას სამრევლო საბჭო, მთელი თავისი შემადგენლობით, დაესწროს პატრიარქ-კათალიკოსის დასაფლავებაზედ.

—

**ურბნისის** სამრევლო საბჭომ, თავის საგანგებო კრებაზედ, ამ წლის 1 ივლისს, მოისმინა რა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი მეთაურის, მამამთავრის კირიონ II ის მოწამებრივი სიკვდილის ამბავი, გამოსთქვა ღრმა მწუხარება ფრიად დაკარგვისათვის გამოჩენილის სასულიერო მოღვაწისა, უდიდესი ქველმოქმედისა, თავის სამშობლოს გამოჩენილად მოყვარულ მამულიშვილისა და მეცნიერ [illegible] თავრისა, ფეხზე ადგომით პატივი სცა მის ხსოვნას და მაშინვე დაადგინა: 1) მთელი შემადგენლობით საბჭო დაესწროს კათალიკოს კირიონის დაკრძალვას; 2) ეპარქიის ყველა სამრევლო ეკლესიაში იხადონ ყოველ დღე პანაშვიდები, ვიდრე დაკრძალვამდე; 3) მთელი წლის განმავლობაში იხსენიონ წირვის დროს: 4) ეპარქიაში შეგროვდეს ფული კათალიკოს კირიონის ფონდისთვის გამოსაცემად მის დაუბეჭდავ ნაწერებისა.

ურბნისის სამრევლო საბჭოს თავმჯდომარის მაგივრად: დეკ. ი. კაპანაძე.

## თიანეთის ამბები

**თიანეთის მაზრა.** შესახებ თბილისის უკანასკნელს გაზეთებში მოთავსებულ ცნობებისა თიანეთის მაზრის კომისარიატის შეპყრობის და მილიციონერების დატყვევების გამო, თიანეთის მაზრიდან ჩამოსული საიმედო პირი გადმოგვცემს, რომ თიანეთში არავითარ ანარქიას და მით უმეტეს ბოლშევიკურ გამოსვლას ადგილი არა ჰქონია. თიანეთის კომისარიატის შეპყრობის ბრბოს უმოქმედობას უკავშირებენ იმ დროს, როცა ეს მოვლენა მთელი ხალხის ერთსულოვანი სურვილია, რომელიც გამოიწვია კომისარიატის არა პირნათელმა მოქმედებამ. ხალხმა ვეღარ აიტანა კომისარიატის შეუფერებლობა, იგი გადააყენა და მოითხოვა მათი მოქმედების გამოძიება საგამომძიებლო კომისიით. სხვა არავითარ ექსცესს ადგილი არა ჰქონია და სრული სიმშვიდე და წესიერება სუფევს. ხალხი დიდის მოუთმენლობით ელის ეროვნული საბჭოს კომისიას, რომელმაც უნდა გამოიძიოს ხალხის უკმაყოფილების მიზეზები.

თიანეთის შესახებ გაზ. „სახ. ფურც.“ სწერს:

იქიდან ჩამოსულებმა გვიამბეს თიანეთის არეულობა გამოიწვია კომისარიატის შეუსაბამო მოქმედებამ, როცა ვაცნობეთ რესპუბლიკის მთავრობას, მან კი არავითარი ყურადღება არ მოგვაქცია. კომისარიატის ერთი წევრი იარაღით ვაჭრობდა და სხვაც ბევრი რამ არა საკადრისი კეთდებოდა. ხალხმა მოითხოვა კომისარიატის გადაყენება, კომისარიატი კი შეიარაღდა და ღამე ტყვიის მფრქვეველები დადგა გორაკზე, დილით ასტეხეს სროლა და რომ დაინახეს ხალხთან ბრძოლას ვერაფრით შესძლებდნენ— გაიქცნენ.

ახლა ისინი დატუსაღებულები არიან და თიანეთში სიმშვიდეა.

## გრაფ შულენბურგთან

ამას წინეთ, ზოგიერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა, თითქო გერმანია სასტიკად დამარცხებულიყოს დასავლეთის ფრონტზე, მას დაეკარგოს ნახევარ მილიონ კაცზე მეტი და სხვა. რასაკვირველია, ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს ამბავი იყო იმ მრავალ სიცრუეთაგანი, რომელნიც ხშირად ითესება გერმანელთა მტრების მიერ. მაგრამ მაინც მივმართეთ ამ ამბის შესახებ გრაფ შულენბურგს, რომელმაც დიდი სიამოვნებით მოგვცა შესაფერი განმარტება. გრაფმა განაცხადა: ზოგიერთ გაზეთში გავრცელებული ხმა ჩვენი დამარცხების შესახებ მტკნარი ტყუილია. 21 მარტიდან დავიწყეთ დიდი იერიშები საფრანგეთში და დიდი წარმატებაც ვნახეთ. ეს იერიში მეტად რთული მოწყობილებაა. ჩვენი ჯარი იერიშს მიიტანს ერთს ადგილს, რომელიც მტრისთვის სრულიად უცნობია და წინასწარ დანიშნულ მიზნის მიღწევის შემდეგ შეჩერდება და შემდეგ მეორე ადგილს მიიტანს იერიშს. ამგვარად დღემდის ჩვენ მოვახდინეთ ოთხი იერიში და ამ იერიშებს შორის ყოველთვის რჩებოდა დრო, რომელიც საჭირო იყო შემდეგ იერიშის მოსამზადებლად. პირველმა იერიშმა მიგვიყვანა ქალ. სენ-კანტენიდან ქ. ამიენის კარებამდე. ამ იერიშის დროს ავიღეთ დიდი ქალაქები ალბერი, პერონი, შონი, ნუაიონი, ნელი, რუა და მონ-დიდიე. მეორე იერიშმა მიგვიყვანა ქ. ლილიდან ქ. ჰაზბრუკის კარებამდე. ამ იერიშის დროს ხელთ ვიგდეთ მთა ქემელის მაღლობები, რომელიც ბატონობს ფლანდრიის მინდვრებს და იპრის არემარეს. მესამე იერიში დაიწყო ქ. ლაონიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, ამ იერიშმა მოგვცა სახელგანთქმული ქალაქი სუასონი, რომელიც მდებარეობს 60 კილომეტრზე პარიზიდან და ქალაქი შატო-ტიერი, მდებარე 50 კილომეტრით პარიზიდან, აგრეთვე ძლიერი ფორტი ჩრდილო-დასავლეთით ქალ. რეიმსიდან. მეოთხე იერიშის მიზანი იყო შეგვესწორებინა წინანდელ იერიშების მიერ წინწაწევის ხაზები. ამ იერიშმაც მოგვცა მეტად დიდ მნიშვნელოვანი სიმაღლეები და მიგვიყვანა ქალ. კომპიენის კარებამდე, რომელიც პარიზიდან არის დაახლოვებით 50 კილომეტრზე.

დღიდან ჩვენი იერიშების დაწყებისა არც ერთს ფრანგთა და ინგლისელთა კონტრ-იერიშს რაიმე ნაყოფი არ ჰქონია, მიუხედავად ამისა, ხარბათ სათადარიგო ძალა დააგროვეს ჩვენ წინააღმდეგ. გერმანელების მიერ სამი თვის განმავლობაში წარმოებულმა 4 იერიშმა ჩვენ მოგვცა რამდენიმე ათასი ოთხკუთხი კილომეტრი მიწა, აურაცხელი სამხედრო მასალა, გარდა ამისა 94939 დატყვევებული ინგლისელი ჯარის კაცი და 8.000 ოფიცერი, 89099 დატყვევებული ფრანგი ჯარისკაცი და 3.000 ოფიცერი, 2476 ზარბაზანი, 15024 ტყვიისმფრქვეველი. ამ პირობებში სრულიად საკვირველია ისეთი ხმების გავრცელება, რომელიც ყოველივე საფუძველს მოკლებულია. ამბობენ, ზემოხსენებულ ხმების გამავრცელებლები ეყრდნობიან ერთს გაზეთს, სახელდობრ „ბერლინერ ტაგებლატი“ 30 მაისის ნომერს. თუ მართლა არსებობს ასეთი ნომერი, ლაპარაკი არ უნდა ყალბია და ჩვენი მტრების მიერ საგანგებოდ დაბეჭდილი. სწორედ 30 მაისს ჩვენ ფრანგებს ვერეკებოდით მარნის მეორე მხარეს და ამ დღეს გადღვეულ იქმნა არა ჩვენი, არამედ ფრანგების ფრონტი.

გაზეთების ფალსიფიკაცია ჩვენი მოპირდაპირეების მიერ არ არის არაჩვეულებრივი მოვლენა. როცა მე სირიაში ვიყავი, იქ ინგლისელები ჰაეროპლანებიდან ხშირად ყრიდენ კონსტანტინოპოლის გაზეთის „ტანინის“ ყალბ ნომრებს, რითა ადგილობრივ მცხოვრებლებში ტყუილი ცნობები გაავრცელებდათ. მართალია, აქ ინგლისელებს საქმე ჰქონდათ მომთაბარე არაბებთან, რომელნიც ჯერ კიდევ უმეცარი და საანბანოდ ველურია, მაგრამ მე არ შემიძლია ვიფიქრო, რომ იგივე საშუალებას ხმარობდეს ისეთ დიდ და განათლებულ ქალაქში, როგორც თბილისია, რაიმე გასავალი ჰქონდეს და აქ მოიპოვებოდეს ერთი კაცი მაინც, რომელმაც ეს ამბავი დაიჯეროს, რომელიც თავისთავად საარაკო ტყუილია. ამასთანავე გთხოვთ დარწმუნდეთ, რომ გერმანიის ოფიციალური სამხედრო ცნობები ყოველთვის სავსებით სწორია.

## მართვა-გამგეობის სისტემის შეცდომები

ბევრი ჰფიქრობს, რომ შეცდომამდე უნდა ჩაითვალოს ჩვენი ნორჩი პარლამენტის ზომიერი მიმართულების მხრივ ეხლანდელ მთავრობასთან პრინციპიალური კითხვების გამო ბრძოლა. თუ ეს ასე, ის პარტია რომელიმე კითხვაზე ყალბ ნიადაგზედ არის დამყარებული, თვით ცხოვრება გაასწორებს მის შეცდომას. სულ სხვა საქმეა ისეთი მოქმედების გამომჟღავნება, რომელთა სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის მავნებლობის შესახებ ორი აზრი არ შეიძლება იქონიოს კაცმა.

მოვიყვანთ აქ ჯერ-ჯერობით რამოდენიმე მაგალითს:

1) ყველა კარგათ გრძნობს ამჟამად, თუ რა გაჭირვებაა ჩვენ ქვეყანაში პურის და სიმინდის სიძვირის გამო: ფუთი სიმინდის ფქვილი იყიდება აქ 120 მანეთად, ამავე დროს სოხუმის მიდამოების ზღვის ნაპირა ადგილებში ჩვეულებრივი [illegible] მეგრული მოიჯარადარეები თათრების ფელუკებს, რომლებსაც თავისუფლად, დაუბრკოლებლად მოჰყავთ ნაპირზედ სანდლები და რამოდენიმე დღით აქ რჩებიან, ძლევენ 25—20 მანეთად სიმინდს, ამნაირად თათრებმა რამოდენიმე ათასი ფუთი სიმინდი გაზიდეს ჩვენი ქვეყნიდგან.

2) განაპირა ქვეყნების მართველს უპირველეს აქ ყოვლისა ზღვის ნაპირის დაცვის საშუალება უნდა ჰქონდეს უზრუნველყოფილი. ჩვენმა მთავრობამ კი ჩვენი ქვეყნის ზღვის ნაპირად ფოთიდგან დაწყებული სოჩამდე მოხსნა ეგრედ წოდებული საზღვრების დამცველი რაზმები და დააბინავა ისინი ფოთში; თვალურად აძლევს მათ ჯამაგირს და ადგილიდგან დაძვრის გამო ბინის ქირას ცალკე უხდიან. ამ საზღვრების დამცველ რაზმებისათვის ზღვის პირად გაკეთებული რამოდენიმე ასი ათასი მანეთად ღირებული ქვის შენობები ჯეროვანი მოწყობილობით უპატრონოდ არის მიტოვებული და სრულიად აოხრებულია: კარ-ფანჯრები და ავეჯეულება დატაცებულია, ასე რომ ეხლა მათი შეკეთება დიდს ხარჯს მოითხოვს.

3) დეპეშებიდგან გავიგეთ, რომ სოხუმთან ახლო 26-ს ივნისს თათრებმა 800 ჯარის კაცი დესანტი გადმოსხეს. ეს ამბავი მხოლოდ შემთხვევით გაიგო სოხუმიდგან ფოთისაკენ მიმავალმა გემმა. მცირეოდენათ მაინც სახელმწიფოებრივი წესით მოწყობილ ქვეყანაში შესაძლებელია ასეთი მოვლენა? 800 ჯარის კაცის გადმოსხმას ისეთ ადგილში, სადაც ხელოვნურად მოწყობილი ნავთსაყუდელი არ არის, დიდი წინასწარი მომზადება და მეცადინეობა სჭირია. ნუთუ ორი კაცი მაინც არ ჰყავდა ჩვენ მთავრობას, რომ ასეთი შესამჩნევი მოვლენა დროზედ ეცნობებინა?! დანაშაულობაც ის არის ამ შემთხვევაში, რომ მთავრობას ოფიციალი მოხსენება ჰქონდა ჩემგან გამოგზავნილი 16 მაის ამ საქმის გამო. ამ მოხსენებაში კატეგორიულად უცხადებდი მთავრობას, რომ გ. ჯუღელის მოპყრობით შეურაცხყოფილმა აფხაზთა აზნაურებმა დელეგაცია გაგზავნა სათათრეთში დესანტის გადმოსასხმელად. მიუხედავად იმისა რომ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეზედ ქვემო წერილებიც მივწერე პართენ გოთუასთან, რომელმაც ეს ამბავი გაზეთში გამოაცხადა და პავლე საყვარელიძესთან, როგორც ეროვნულ საბჭოს საქმეების გამგესთან, ამ მოხსენებას ჩვენმა მთავრობამ ორი თვის განმავლობაში არავითარი ყურადღება არ მიაქცია. შეიძლება მთავრობამ იმით იმართლოს თავი, რომ მას განსაკუთრებული პირობების გამო აფხაზეთის გამგებლების საქმეში ჩარევა არა ჰსურს. მაგრამ სოხუმის ეხლანდელი მართველები შტაბის უფროსი ნოვიკოვი და ოლქის მართველი ტუმბკერი ვ. ჯუღელის წითელი გვარდიის სურვილისამებრ იქმნენ დანიშნული. რაც უნდა კარგი მიმართულების იყვნენ ეს უცხოელები ასეთ ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ადგილში მათი დანიშვნა, როცა მათ არც ჩვენი ქვეყნის საზღვრები იციან და არც აფხაზეთის, არც ადგილობრივ ხალხთა ზნე-ჩვეულება—განწყობილება შეუწყნარებელია.

ნიკო თავდგირიძე.

## იქ და აქ

იქ—მუდამ დარიგება, სწავლა, სმენა, შეგნება და განუწყვეტელ, შემოქმედებითი სულისა და გულის აღმამაღლებელი შრომა. დღეში 12—14 საათს მუშაობენ.

აქ—მუდამ ტიტყანი, ლაყლაკი, ღრინვა, შფოთი, ცოფიანობა, ჯიუტობა, ურჩობა, რეგვენობა და განუწყვეტელი სიზარმაცე, არამზადობა, ლოთობა და მომაკვდინებელი ძილი.

იქ—ერთობა აზროვნობისა, გრძნობისა და მოქმედებისა.

აქ—წინააღმდეგობა აზროვნობაში, გრძნობაში და მოქმედებაში.

იქ—მოგება და კეთილ წარმატება ყოველს საქმეში.

აქ—წაგება, წალეკვა, განადგურება და დაღუპვა ყოვლისფრისა.

იქ—ნაციონალისტური აზრი და იდეა, როგორც საძირკველი სახელმწიფოს წესწყობილებისა და ცხოვრებისა, მცნებაა.

აქ—თავისი ერის შეუგნებლობა და უარყოფა და აფრიკანულ მაიმუნებზე თავგანწირული და ყოვლად უნაყოფო შრომა და ზრუნვა.

იქ ზიზღით უყურებენ არა თუ ველურ, არამედ იდესმე განვითარებულ და ეხლა დაქვეითებულ და სულიერად და ფიზიკურად დაცემულ ერს. ამისთანა ერებს შეუბრალებლად ხოცავენ, როგორც არამზადა ჯიუტ ფუტკრებისას, და დანარჩენს პაწია ბავშვებს, დედაკაცებს და გაპარტახებულებს იმონავებენ და როგორც პირუტყვებს ამუშავებენ.

აქ, როგორც რომაელთა ფუფუნენი, სხვადან გაშტერებულნი და არ სჯერათ მათ, რომ დღენი მათნი დათვლილია.

იქ ბეჯითად და შეურყევლად ამ-ს ოვთ ის, რაც [illegible] და ჩვენება [illegible] ბლად დაგვეფუძნება: „მოქმედული და მოზომილი ვინ გაიგონა“.

იქ მართლაც ყოველივე საშუალება და საღსარი ბრძოლის მოგებისათვის და მტრის მოსპობისათვის ხელსაყრელია.

აქ მოჯადოებულ და გარეტიანებულ ხალხს, რომელიც ერთმანეთის ხორცს ჰკლავენ და მძორებს საჭმელად ძაღლებს უგდებენ, ამის შეგნება დაუკარგავს და როგორც უგნური ცხვრის ფარა, იგი უვარდება იქაურ შეუბრალებელ კბილებში.

იქ პირველ დამმარცხებელ იარაღად მტრის წინააღმდეგ აღიარებულია „ლენინობა“ და „მიასოედოვება“...

აქ კი სულიერად და გრძნობით დაქვეითებულ და დადატაკებულ ხალხში 50 პროც. ლენინებს და მიასოედოვებს ხედავთ.

იქ შიათ და ითმენენ სულგრძელნი და იციან, რომ განსაცდელს დასძლევენ.

აქ უმცირესი ნაწილი მუცელს აღორებს და უმთავრესი აქორებს და სულგრძელნი მოსპობას და მონობას ვერ გაექცევიან.

იქ—უფლება და მოვალეობა თანასწორია.

აქ—უფლება განუსაზღვრელი და სრული უარყოფა მოვალეობისა.

იქ რწმენა: „მე მეძლევა დღეში 160 გრამი პური, 1 გირვანქა კარტოფილი, 150 გრამი ხორცი კვირაში, 50 გრამი კარაქი კვირაში, მაგრამ ამასვე იღებს ჩემი იმპერატორიც (კაიზერი).

აქ ურწმუნოება და დაუჯერებლობა, რადგან მზად არიან, რომ ერთმანეთიც შესჭამონ.

იქ მთელი ხალხი ერთმანეთს თვალყურს ადევნებენ, რომ ვინმემ მეტი არ შესჭამოს და შესვას და ცოტა, ნაკლები თავის მოვალეობისა არ გააკეთოს.

აქ ეჯიბრებიან ერთმანეთს, აბა, ვინ უფრო მეტს შესჭამს და შესვამს და უფრო ნაკლებ იშრომებს და იმოქმედებს.

იქ ღიმილით და სიხარულით თავს სწირავენ სამშობლოს დაცვისათვის და კეთილდღეობისათვის, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ძლევამოსილი სამშობლო უკეთესად მოუპატრონებს დაობლებულ თავგანწირულ გმირთა შვილებს და ნათესავებს.

აქ კი... ჰო, თქვენ თვითონვე უნდა შეიგნოთ, რომ დანაშაული ჩვენი უბედური და ტანჯული ცხოვრებისა არის ყოველივე ჩვენგანი“. „როგორიც ერიო, ისეთი ბერიო“.

მთავრობა ხალხისაგანვე წარმოსდგება და ამიტომ, ქართველებო დაივიწყეთ საზიზღი რუსების ჩვეულება „ჩვენ კი არა ვართ დანაშაული, მხოლოდ ჩვენი მთავრობაო“. მაშ თუ გინდათ, რომ კიდევ სცხოვრობდეთ საქართველოს საშოთხის წიაღში, გაიხსენეთ ძველებური მამა-პაპური ძმობა, ერთობა, თავგანწირული შემოქმედებითი მუშაობა და დუმილი. დადუმდით და ყური ათხოვეთ გულის ძგერასა, რომ თვითონვე იგრძნოთ თქვენი ეხლანდელი საშინელი სახადიანობა. მთელი თქვენი აზროვნობა და ეხლანდელი ცხოვრება სიცოცხლის მოსპობილი მაჯლაჯუნაა. მე მრწამს, რომ თქვენ დროზე გამოიღვიძებთ და მაჯლაჯუნას მსხვერპლი არ გახდებით. ამინ!

იქიდან ჩამოსული გ. ქ.

## ქალაქის თვით-მმართველობა

ვინც თბილისის ქალაქის თვითმმართველობის საქმეთა მსვლელობას ყურადღებას აქცევს, აშკარად დაინახავს, თუ რა საქმის პატრონი ხალხი უდგია ამ ჟამად სათავეში თბილისს.

ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს ის დღეები, როდესაც ყველა რუსულ-ქართულ-სომხური პარტიები ფერადის დროშებითა და ლამაზ-ლამაზი სიტყვებით იტყუებდნენ მოქალაქეთ, რომ მათთვის მიეცათ ხმა. კარგად გვახსოვს ის დემაგოგიური ლოზუნგები და ფრაზები, რომლებიც მხოლოდ პირადისა და პარტიულის ინტერესებით იყო გამოწვეული. ჩვენ მაშინათვე დარწმუნებული ვიყავით, რომ კლასობრივ-ჯგუფურ იდეებით გამსჭვალული, სხვისი მკერდვე მკიცხველი და გაბატონების ჟინით შეპყრობილნი ვერ მოუვლიდნენ ქალაქს, რომელშიაც სხვა და სხვა წოდებისა და ღირსების ხალხი სცხოვრობს.

ამაში ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, და აკი გამართლდა კიდეც. ახალი

